საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბედენის ქედი

ბედენის ქედი, ქედი წალკისა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტებში, ჯავახეთის ზეგანზე, მდინარეების ალგეთისა და ხრამის წყალგამყოფი. უმაღლესი ადგილია ბედენის მთა (1875 მ). ქედზე გადადის საავტ. გზა თბილისი – თეთრი *წყარო* – წალკა.

ბ. ქ. აგებულია ცარცული ვულკანოგენური დანალექებით, აგრეთვე ნეოგენური მეოთხეული ლავებით. აქვს სამხრ. განშტოება, სადაც იაილოს მთაა. კალთები შემოსილია ფოთლოვანი ტყით, ზოგან – ფიჭვნარით, თხემზე მეორეული მდელოებია.

გ. დევდარიანი